

**ელექტროენერჯის მწარმოებლების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის  
ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების წარდგენის ინსტრუქცია**

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს ელექტროენერჯის მწარმოებლების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების წარდგენის წესსა და პროცედურებს.

**მუხლი 2. ინსტრუქციის მიზანი**

ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს გადამცემი ქსელის მართვისა და დაგეგმვის მოვალეობის შესრულებისათვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ინფორმაციის წარდგენის თანმიმდევრული, ეფექტური და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა.

**მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

1. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თბოენერგობლოკის გაშვების ტიპი - თბოენერგობლოკის გაშვების წინ არსებული მახასიათებლები, რომელიც გავლენას ახდენს გაშვების ტექნოლოგიაზე, დროსა და სპეციფიკაზე.

ბ) სინქრონიზაცია - ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გენერატორის ჩართვის პროცესი, რის შემდეგაც გენერატორები იწყებენ სისტემასთან ან სხვა გენერატორებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობას.

გ) დესინქრონიზაცია - ელექტროენერგეტიკული სისტემიდან გენერატორების გამორთვის პროცესი, რის შემდეგაც გენერატორები წყვეტენ პარალელურ მუშაობას სისტემასთან და დანარჩენ გენერატორებთან.

დ) კავიტაცია - თხევადი მასის დინებაში ორთქლის წარმოშობისა და ჰაერის ბუშტების შემდგომი კონდენსაციის პროცესი, რომელსაც თან სდევს ხმაური და ჰიდრაულიკური დარტყმები.

ე) სინქრონული კომპენსატორი - რეაქტიული სიმძლავრის გენერაცია/მოხმარების დანადგარი.

2. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის“ შესახებ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული მნიშვნელობები, თუ სხვა რამ ერთმნიშვნელოვნად არ არის მითითებული თავად ინსტრუქციაში ან ტერმინის სხვაგვარი განმარტება ერთმნიშვნელოვნად არ გამომდინარეობს შესაბამისი წინადადებების შინაარსიდან.

**მუხლი 4. ელექტროენერჯის მწარმოებლების მიერ წარსადგენი ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები**

1. ელექტროენერჯის მწარმოებლებმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა წარუდგინონ ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები დანართი 1-ის შესაბამისად წერილობით ან/და ელექტრონულად შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [availability@gse.com.ge](mailto:availability@gse.com.ge)
2. დანართი 1-ის მიზნებისთვის, კვანძების ტემპერატურის, მაგისტრალებში წნევების და გარემო ტემპერატურის და სხვა პროცესების გავლენების მიხედვით, გამოიყოფა თბოენერგობლოკის გაშვების სამი ტიპი: ცხელი, თბილი და ცივი გაშვება. გაშვების ყოველი ტიპისათვის პარამეტრები განისაზღვრება თითოეული თბოენერგობლოკისთვის ცალ-ცალკე ელექტროენერჯის მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად.
3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაგზავნილი ინსტრუქციის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ელექტროენერჯის მწარმოებლები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წერილობით წარუდგენენ ელექტრონული ფოსტის მისამართს, რომლიდანაც ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა მიიჩნევა ოფიციალურ მიმონწერად.

**მუხლი 5. ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების წარდგენის ვადები**

1. ელექტროენერჯის მწარმოებლებმა ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა წარუდგინონ ყოველწლიურად სექტემბრის ბოლო სამუშაო დღეს.
2. ელექტროენერჯის მწარმოებელი ვალდებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეატყობინოს ამ ინსტრუქციის შესაბამისად მიწოდებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ და კორექტირებული (განახლებული) ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები სრულყოფილად წარუდგინოს ცვლილების განხორციელებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს. კორექტირებულ (განახლებულ) ოპერატიული დაგეგმვის მონაცემებთან დაკავშირებით შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ელექტროენერჯის მწარმოებელს მოსთხოვოს მონაცემების კორექტირება, ხოლო ელექტროენერჯის მწარმოებელი ვალდებულია განახლებული მონაცემები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შეიტყობს ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების ცვლილების შესახებ, ის მიმართავს ელექტროენერჯის მწარმოებელს

განახლებული მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნით, ხოლო ელექტროენერჯის მწარმოებელი ვალდებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს განახლებული ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის მწარმოებელი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს არ წარუდგენს ოპერატიული დაგეგმვის მონაცემებს ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტით, ასევე მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.
5. თუ ელექტროენერჯის მწარმოებელი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ვერ მიაწვდის მონაცემებს, რომელთა მიწოდებაც მას მოეთხოვება ამ ინსტრუქციის შესაბამისად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, თავად შეაფასოს აღნიშნული მონაცემები ადრე მიწოდებული მონაცემების ან/და მსგავსი ელექტრომონწყობილობა-დანადგარების მონაცემების საფუძველზე.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით მითითებული გარემოების არსებობის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეფასებული მონაცემების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის ელექტროენერჯის მწარმოებელს იმ შეფასებული მონაცემების თაობაზე, რომელთა გამოყენებასაც იგი აპირებს მითითებულ ელექტრომონწყობილობა-დანადგარებთან დაკავშირებით.

#### მუხლი 6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების დამუშავება და შენახვა

1. ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ახორციელებს მონოდებული ინფორმაციის დამუშავებას. წარმოდენილ მონაცემებთან დაკავშირებით შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ელექტროენერჯის მწარმოებელს მოსთხოვოს მონაცემების კორექტირება, ხოლო ელექტროენერჯის მწარმოებელი ვალდებულია განახლებული მონაცემები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჭიროების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეუძლია მის მიერ განსაზღვრულ ვადაში ელექტროენერჯის მწარმოებელს მოსთხოვოს დამატებითი მონაცემების წარმოდგენა.
3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მასზე დაკისრებული გადამცემი ქსელის მართვისა და დაგეგმვის მოვალეობის შესრულების პროცესში მხედველობაში იღებს

ელექტროენერჯის მწარმოებლების მიერ წარმოდგენილ ოპერატიული დაგეგმვის მონაცემებს.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ოპერატიული დაგეგმვის მონაცემებს იყენებს სისტემის მუშაობის, დაგეგმვის ან/და მუშაობის ოპტიმიზაციისათვის, მათ შორის:
  - ა) ყოველდღიური და ყოველკვირეული დაგეგმვისათვის;
  - ბ) თვის პროგნოზების მოსამზადებლად;
  - გ) რეზერვების ოდენობის დათვლისთვის (ჭამურად და ტიპების მიხედვით);
  - დ) ტვირთის ცვლილების მოქნილობის მიხედვით სადგურების რიგითობის შედგენისათვის;
  - ე) სამტატო, სარემონტო და ავარიული რეჟიმების დათვლის პროცესში გამოსაყენებლად;
  - ვ) მოხმარება-მინოდების გეგმებში რეალურ დროში საჭირო კორექტირებისას;
  - ზ) რეალურ დროში სადგურებზე ტვირთის მოხსნის ან/და მომატების დროს;
  - თ) სხვადასხვა ოპტიმიზაციისა და რეჟიმების დათვლის პროგრამებში გამოსაყენებლად (ფუნქციონალისა და საჭიროების მიხედვით).
5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პასუხისმგებელია ელექტროენერჯის მწარმოებლების მიერ ამ ინსტრუქციის შესაბამისად წარმოდგენილი ოპერატიული დაგეგმვის მონაცემების შენახვასა და დაარქივებაზე.

ელექტროსადგურების ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები

კომპანიის დასახელება:					
ენერგობლოკის/აგრეგატის ან ელექტროსადგურის დასახელება (საიდენტიფიკაციო ნომერი):					
ტელეფონი:			ადგილმდებარეობა, მისამართი:		
ფაქსი:			ელ.ფოსტა:		
მონაცემთა აღწერილობა	მონაცემები	ერთეული	ენერგობლოკი/აგრეგატი		
			U1	U2	Un
<b>ორთქლის ტურბინიანი ენერგობლოკები</b>					
სინქრონიზაციის შესახებ წინასწარი შეტყობინების მინიმალური ვადა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:					
ცხელი გაშვების დროს	ოპერატიული	წთ			
თბილი გაშვების დროს	ოპერატიული	წთ			
ცივი გაშვების დროს	ოპერატიული	წთ			
მინიმალური დრო სინქრონიზაციებს შორის	ოპერატიული	წთ			
სინქრონიზაციის მინიმალური დატვირთვა	შემდეგ ოპერატიული	მგვტ			
დატვირთვის ცვლილების სიჩქარე					
ცხელი გაშვების დროს	ოპერატიული	მგვტ/წთ			
თბილი გაშვების დროს	ოპერატიული	მგვტ/წთ			
ცივი გაშვების დროს	ოპერატიული	მგვტ/წთ			
დატვირთვის მოხსნის მაქსიმალური სიჩქარე	ოპერატიული	მგვტ/წთ			
მინიმალური დრო დესინქრონიზაციასა და სინქრონიზაციას შორის	ოპერატიული	წთ			
<b>აირტურბინული ენერგობლოკები</b>					
ქსელთან სინქრონიზაციისათვის საჭირო მინიმალური დრო	ოპერატიული	წთ			
მინიმალური დრო სინქრონიზაციებს შორის	ოპერატიული	წთ			
სინქრონიზაციის მინიმალური დატვირთვა	შემდეგ ოპერატიული	მგვტ			
დატვირთვის ცვლილების სიჩქარე					
ცხელი გაშვების დროს	ოპერატიული	მგვტ/წთ			
თბილი გაშვების დროს	ოპერატიული	მგვტ/წთ			

ცივი გაშვების დროს	ოპერატიული	მგვტ/წთ			
დატვირთვის მოხსნის მაქსიმალური სიჩქარე	ოპერატიული	მგვტ/წთ			
მინიალური დრო დესინქრონიზაციას / სინქრონიზაციას შორის	ოპერატიული	წთ			
<b>ჰიდროაგრეგატები</b>					
რეჟიმების შეცვლის (სინქრონული კომპენსატორიდან გენერაციაზე და პირიქით) მინიმალური ვადა	ოპერატიული	წთ			
ქსელთან სინქრონიზაციისათვის საჭირო მინიმალური დრო	ოპერატიული	წთ			
მინიმალური დრო სინქრონიზაციებს შორის	ოპერატიული	წთ			
სინქრონიზაციის შემდეგ მინიმალური დატვირთვა	ოპერატიული	მგვტ			
კუვეიტაცია (მგვტ-დან მგვტ-მდე)	ოპერატიული	მგვტ			
მაქსიმალური დატვირთვის სიჩქარე	ოპერატიული	მგვტ/წთ			
დატვირთვის მოხსნის მაქსიმალური სიჩქარე	ოპერატიული	მგვტ/წთ			
მინიმალური დრო დესინქრონიზაციას / სინქრონიზაციას შორის	ოპერატიული	წთ			
<b>სხვა სახის ენერგობლოკები/აგრეგატები (მაგ: ქარის)</b>					
რეჟიმების შეცვლის (სინქრონული კომპენსატორიდან გენერაციაზე და პირიქით) მინიმალური ვადა	ოპერატიული	წთ			
ქსელთან სინქრონიზაციისათვის საჭირო მინიმალური დრო	ოპერატიული	წთ			
მინიმალური დრო სინქრონიზაციებს შორის	ოპერატიული	წთ			
აგრეგატის მინიმალური დატვირთვა	ოპერატიული	მგვტ			
მაქსიმალური დატვირთვის სიჩქარე	ოპერატიული	მგვტ/წთ			
დატვირთვის მოხსნის მაქსიმალური სიჩქარე	ოპერატიული	მგვტ/წთ			